

„რადიოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „რადიოლოგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:

„რადიოლოგია“ არის მედიცინის დარგი, რომელიც აერთიანებს სხივური და ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის მეთოდებს და სწავლობს მის შესაძლებლობებს ნორმისა და სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების გამოვლენაში, მათი ჩამოყალიბების სხვადასხვა სტადიებზე.

3. ზოგადი ცოდნა:

ა) რადიოლოგიური სამსახურის ორგანიზაციის ზოგადი საკითხები და მათი მოქმედების განმსაზღვრელი დოკუმენტები;

ბ) მაიონებელი გამოსხივების, ულტრაბგერის და მაგნიტური ველის საფუძველზე მომუშავე დიაგნოსტიკური და თერაპიული აპარატურის ფიზიკურ – ტექნიკური მახასიათებლები;

გ) მაიონებელი გამოსხივების ბიოლოგიური ზემოქმედება, დოზიმეტრიის საფუძვლები, პაციენტისა და პერსონალის დაცვა რადიაციის მავნე ზემოქმედებისაგან;

დ) გამოსხივების ფორმირების კანონზომიერებები, დაავადებების სხივური სემიოტიკა, სხივური დიაგნოსტიკური მეთოდების შესაძლებლობანი (რენტგენოდიაგნოსტიკა, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკა, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული დიაგნოსტიკა, მაგნიტურ-რეზონანსული დიაგნოსტიკა და სხვა). რადიოლოგიაში გამოყენებული აპარატურის ფიზიკურ – ტექნიკური საფუძვლები, გამოსახულების ფორმირების პრინციპები, გამოსხივების ფიზიკა, ელექტრონიკა, ინფორმაციის საფუძვლები, გამოთვლითი სისტემები რადიოლოგიაში;

ე) ორგანოებისა და სისტემების გამოკვლევის მეთოდიკა, მათი შესაძლებლობანი და გამოყენების თანმიმდევრობა, გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება.

4. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმ-რადიოლოგს შეუძლია შემდეგი კვლევების მონაცემების ინტერპრეტაცია:

ა.ა) რადიოლოგიური კვლევების შედეგების შეფასება/ინტერპრეტაცია, სათანადო დასკვნების გაკეთება, მკურნალობის ან შემდგომი კვლევის სწორი ტაქტიკის განსაზღვრა;

ა.ბ) გულმკერდის, ხერხემლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, შარდ-სასქესო სისტემის, ძვალ-სახსართა სისტემის, ქალას ძვლების და პარანაზალური წიაღების როგორც ნორმალური, ასევე, პათოლოგიური ცვლილებების რენტგენოლოგიური კვლევით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.გ) რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.დ) მამოგრაფიით, სალპინგოგრაფიით და ფისტულოგრაფიით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.ე) მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებათა და მათი გართულებების ექოსკოპიით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.ვ) მცირე მენჯის ორგანოების – შარდის ბუშტის, წინამდებარე ჯირკვლის, საშვილოსნოს, საკვერცხეების ნორმალური ულტრაბგერითი გამოსახულებისა და პათოლოგიათა ულტრაბგერითი კვლევით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.ზ) პერიფერიული ორგანოების (სარძევე ჯირკვლის, ფარისებური ჯირკვლის და ლიმფური ჯირკვლების) ნორმალური და პათოლოგიების ულტრაბგერითი კვლევით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.თ) მაგისტრალური და პერიფერიული სისხლძარღვების დუპლექსკენირებით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია. ნეიროსონოსკოპია. პარაკუჭოვანი სისტემის შეფასება და თავის ტვინის ნივთიერების მდგომარეობის შესწავლა ახალშობილებში;

ა.ი) ექოკარდიოგრაფია, გულის და მაგისტრალური სისხლძარღვების ნორმალური გამოსახულების და პათოლოგიების ექოკარდიოგრაფიული მონაცემების ინტერპრეტაცია;

ბ) ექიმ რადიოლოგს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

ბ.ა) გულ-მკერდის, ხერხემლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და მუცლის ღრუს, შარდ-სასქესო სისტემის, ძვალ-სახსართა სისტემის, ქალასა და სახის ძვლების და მიდამოების კვლევების ჩატარება;

ბ.ბ) რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიის ჩატარება;

ბ.გ) მამოგრაფიის, სალპინგოგრაფიის, ფისტულოგრაფიის, დუქტოგრაფიის ჩატარება;

ბ.დ) მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებათა ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ჩატარება და სადიაგნოსტიკო და სამკურნალო (მადრენირებელი) მანიპულაციების ჩატარება რეტგენოლოგიური და ულტრაბგერითი კვლევის კონტროლით;

ბ.ე) თირკმელების მწვავე და ქრონიკული დაავადებების ულტრაბგერითი კვლევის ჩატარება;

ბ.ვ) მცირე მენჯის ორგანოების – შარდის ბუშტის, წინამდებარე ჯირკვლის, საშვილოსნოს, საკვერცხეების ულტრაბგერითი კვლევის ჩატარება;

ბ.ზ) მაგისტრალური და პერიფერიული სისხლძარღვების დუპლექსკენირების ჩატარება. ნეიროსონოსკოპიის ჩატარება;

ბ.თ) ექოკარდიოგრაფიის ჩატარება.

ბ.ი) დენსიტომეტრიის ჩატარება. (27.07.2020 N01-86/5)

5. გარდამავალი ეტაპის რეგულირება:

ა) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს, განახორციელოს საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობის ფარგლებში;

ბ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტებს, რომელთაც დასრულებული აქვთ სარეზიდენტო პროგრამა სპეციალობით - „სამედიცინო რადიოლოგია“ (მ.შ.,

რომლებიც ფლობენ სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში - „რადიოლოგია“), უფლება აქვთ, განახორციელონ „რადიოლოგიის“ კომპეტენციებით განსაზღვრული საქმიანობა, გარდა მაგისტრალური და პერიფერიული სისხლძარღვების დუპლექსკენირების, ნეიროსონოსკოპიისა და ექოკარდიოგრაფიისა. აღნიშნულ სფეროში საქმიანობა შესაძლებელია შესაბამისი სპეციალიზაციის კურს(ებ)ის დასრულების შემთხვევაში. ხსენებული სპეციალიზაციის კურსების დასრულების შემდგომ „სამედიცინო რადიოლოგიაში“ სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს შეუძლია, მოიპოვოს სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობაში - „რადიოლოგია“ (სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე).

გ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობაში „სამედიცინო რადიოლოგია“, მზადების სათანადო კურსის დასრულების შემთხვევაში, უფლება აქვს, მიიღოს სუბსპეციალობის მოწმობა - „კომპიუტერულ-ტომოგრაფიული დიაგნოსტიკა“ და „მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. (15.07.2015 N 01-21/6)

დ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი, საექიმო სპეციალობაში „რადიოლოგია“ 2007 წლის 18 აპრილამდე, უფლება აქვს განახორციელოს ამ კომპეტენციებით განსაზღვრული საექიმო საქმიანობა, მზადების სათანადო კურსის გავლის გარეშე. (27.07.2020 N01-86/6)

6. ამოღებულია (11.04.2016 N01-15/6)